პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 10 კაპ.

ყოველკვირეული

# ნიანგი

№ 50 | კვირა, 30 მაისი, 1926 წელი. | № 50

## „ომი და ზავი“

„ჟენევაში ისევ დაიწყეს „განიარაღების“ შესახებ ლაყბობა“.
ამ კომედიაში დღეს „მსახიობთა“ სხვა შემადგენლობა გამოდის. „დამსახურებულნი მსახიობები“—ჩემბერლენი, ბრიანი და ძმები მათნი კულისებიდან აყურადღებენ „ახალგაზრდა მსახიობებს“.
(დასავლეთ წერილებიდან).



ასჯერ მხოლოდ, ისიც ცხადში
ჟანავაში ვნახე კრება;
გეფიცები ერთა ლიგას,
ახლა უფრო მეჯავრება.

ჩემბერლენი მარჯვნით იჯდა,
გვერდით უჯდა მას ბრიანი;
ლაყბობდენ რომ ევროპისთვის
მათ მიეცათ დღე მზიანი.

აქ ერმანეთს უჩვენებდენ
სუყველანი თეთრ-თეთრ კბილებს,
და იტყოდა მათი ენა
ქათინაურს ტკბილზე ტკბილებს.

როგორც თვითონ მათი საქმე,
იმათ გული ჰქონდათ შავი;—
ამიტომაც დაამკვიდრეს
ასე მალე ქვეყნად ზავი.

ჩვენ აქ ვხედავთ თავშეკრებილს
თითქმის ყველა ქვეყნის ტუზებს...
ყოველ მხრიდან მიიზიდავს
დამპალ ლიგის ლეში ბუზებს.

გამოცხადდა მათ თათბირზე
ღმერთი ძმობის და ზავისა
და მაღლიდან ერთა ლიგას
ის ყვავსავის დასჩხავისა.

ხელს უჭირავს თოფი ხიშტით;
ვხედავთ მის ხიშტს რაც ამშვენებს,
(სიმბოლოა ალბად ზავის)...
ენას არვინ არ ასვენებს.

ასეთია ჩვეულება,
ასეთია ენის ფხანა;
ისე ცხონდეს მათი სული
რომ მშვიდობის დადგის ხანა.

ვინ იქნება ამ ქვეყნად, რომ
არ უყვარდის ერთა ლიგა?!
ვფიქრობ არვინ,—რადგან ლიგამ
ყველგან ზავი დაარიგა.

ჭინჭარა.

284/1926

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ხშირი მოვლენა“

— თქვენ დაგაწინაურეთ და გაგზავნით... უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოთ ახლანდელ პოლიტიკას: **„მომჭირნეობის რეჟიმს“**, რაც გამოიხატება ხარჯების შემცირებაში და შტატების შემოკლებაში, სადაც ეს უკანასკნელი გაბერილია,—ასე ეუბნებოდა ბრაქვაძეს მმართველობის თავმჯდომარე.

— მერწმუნეთ. პირნათლად შევასრულებ თქვენს დავალებას და საქმეს მკვიდრ ნიადაგზე დავაყენებ,—დააიმედა ბრაქვაძემ თავმჯდომარე, ხელი მაგრად ჩამოართვა და გამოემშვიდობა.

—:—

როცა ბრაქვაძე შევიდა თავის „საკაბინეტო“ ოთახში, ე. ი. უწინდელ გამგის კაბინეტში, იგი უსიამოვნოდ დაიმანჭა. ახედ-დახედა და გაბრაზებულმა ზარი დარეკა.

შეშინებულმა დარაჯმა, რომელიც მთხოვნელებს არ უშვებდა გამგესთან, სანახევროდ გააღო კარები, თავი შეჰყო და ჰკითხა:

— რას გვიბრძანებ? შემოვუშვა მთხოვნელები?

— რის მთხოვნელები? ბუჰლალტერს დაუძახე,— მკვახედ და მრისხანედ დაუყვირა ბრაქვაძემ.

—:—



„მომჭირნე“ გამგე აწყობს თავის კაბინეტს.

— ბაგრატ,—ეუბნებოდა გამგე ბუჰლალტერს, რომელსაც ფანქარი ხელში ეჭირა,—რას ჰგავს ეს ჩემი კაბინეტი? ეს კაბინეტი კი არ არის, არამედ არ ვიცი რა ვუწოდო... შეხედე კაცო ამ მაგიდას! მაგიდა არის ეს? ალბად ეს მაშინ ნაყიდია, როცა ეს დაწესებულება დაარსდა. მას შემდეგ ბევრი მთავრობა გამოიცვალა, ბევრი გამგე გამოიცვალა აქ, მაგრამ ამ მაგიდის გამოცვლა მაინც არ იქნა... სხვა რომ არ იყოს რა,—სირცხვილია. ასეთი მაგიდა მე—გამგეს კი არა, გამგის მოადგილესაც არ ეკადრება. დაუკვეთე და საჩქაროდ გააკეთებინე ჩემთვის წითელი ხის მაგიდა; რამდენიც არ უნდა ღირდეს, მიეცი. ანდა, ერთი მითხარი, რას ჰგავს ეს ხელსაწყო?! ესეც საწერ-კალამია? ამით უნდა ვაწერო ქაღალდებს რეზოლიუციები? არა, ძმაო, ესენი არსად არ გამოიჩინება. ეს ზარიც გამოსცვალე, იყიდე წკრიალა ხმიანი ზარი... ლენინის ბიუსტი ბრონზის უნდა იყოს; აბა როგორ შეიძლება გამგეს გიპსის ბიუსტი ედგას კაბინეტში?! არა ეს არ არის ბელადის პატივისცემა. შეხედე კედლებს! მუშათა კლასის და მსოფლიო რევოლიუციის ბელადების სურათები ასეთ უბრალო „რამკებშია“; ეს მათი შეურაცყოფაა... აღარ ვიცი, რაზე მიგითითო! ყველაფერი გამოსაცვლელია. კაცო, იგი ოჯახდაქცეული ჩემი წინა მოადგილე გამგე არაფერს არ აკეთებდა? ეტყობა არ ჰქონებია მაგარი ხელი, ფოლადისებური ნებისყოფა და რაც მთავარია—გამგის თავმომწონეობა... და რომ არ ჰქონებია, ღმერთო ჩემო, ხა, ხა, ხა, ხა, ამას ამტკიცებს ეს მისი ძველის-ძველი პორტფელი. აბა შეხედე თუ ძმა ხარ,—რას ჰგავს ეს პორტფელი?! ასეთ პორტფელს შენ რომ ბუჰლალტერი ხარ, შენ არ დაიკავებ, თორემ გამგე? ჰმ! ეს პორტფელი დარაჯს ჰქონდეს,—პაკეტების წასაღებად დასჭირდება. ჩემთვის შეიძინე კარგი პორტფელი,—თავმომწონე გამგეს, რომ დამშვენდება ისეთი პორტფელი. კინაღამ დამავიწყდა რაც მთავარია: ავტო აუცილებლად უნდა შევიძინოთ. დრო ფულზე უფრო ძვირია, ეხლა ხომ მომჭირნეობის რეჟიმია და დროს კიდევ უფრო უნდა გავუფრთხილდეთ, ავტოთი უფრო მალე წავალ და მოვალ როგორც დაწესებულებებში, ისე სახლში. ერთი სიტყვით ყველაფერი ეს რაც გითხარი დაკვრითი წესით უნდა გააკეთო.

ბუჰლალტერი მუნიან ცხენსავით გამგის ყოველ სიტყვაზე თავს იქნევდა და უდასტურებდა: დიახ... რასაკვირველია... აუცილებელი საჭიროა... უსათუოდ... რა თქმა უნდა სირცხვილია... დიახ... ბატონი ბრძანდებით... და სხვა.

— ჰო მართლა შტატში ჩარიცხეთ პირველ ამ თვიდან მე რომ ქალი გითხარი.

— კი მაგრამ ხარჯთაღრიცხვაში რომ არ არის შეტანილი?

—თუ ძმა ხარ თავი დაანებე მაგ შენს ხარჯთაღრიცხვას. შენ თუ მაგას მიყევი, მაშინ ჩემთვის ვერც ავტო გიყიდნია და ვერც კაბინეტი მოგიწყვია... ჩვენ რომ ერთი თანამშრომელი მივიღოთ, მაგით საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკა არ დაირღვევა და არც მსოფლიო რევოლიუცია შეფერხდება.

— რასაკვირველია მართალია თქვენი სიტყვები, მაგრამ მომჭირნეობის რეჟიმი შტატების შემცირებასაც გულისხმობს და ჩვენ კი ფიქრით, შტატს ვად[illegible]ებთ.

— კაცო, კაცო, დაეთხოვეთ მაგ მომჭირნეობას... კარგი მომჭირნე ყოფილა თქვენი ყოფილი გამგე და ამიტომაც მოუწყვია კაბინეტი... თუ შტატის შემცირება საჭირო და აუცილებელი იქნება, შეიძლება სხვა დავითხოვოთ,— და ის ქალი კი პირველ ამ თვიდან ჩარიცხე შტატში, რომ პირველ იმ თვეს ერთი თვის ჯამაგირი მიიღოს

— ძალიან კარგი... ბატონი ბრძანდებით.

—:—

მაგრამ მოულოდნელად „თავს დაეცა“ მუშათა და გლეხთა ინსპექცია ბრაქვაძეს, და იგი მიცემულ იქნა პასუხისგებაში ს. ს. კოდექსის 111 მუხლის თანახმად.

ზის ჩვენი გამგე ბრაქვაძე გამსახლში და ასე ღიღინებს:

ვაჰ, კოდექსო რასა გევხარ?! რას გვაბრუნებ?! რა ზნე გჭირსა?!
ბევრი ჩემებრ გამსახლში ზის და ასველებს ცრემლით ცხვირსა!
მაგრამ მაინც იმედი მაქვს გადავიტან ამ დიდ ჭირსა,
ამნისტია არ გამწირავს კაცსა შენგან განაწირსა.

**ტოქსინი.**

# მომჭირკომი

ქარხნის დირექტორი ჩაფიქრებული იჯდა თავის კაბინეტში და კითხულობდა გაზეთში განცხადებას:

**„საქ. კომპარტიის ცენტრ. საკ. კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი წინადადებას აძლევს საქართველოს ყველა სამეურნეო, საბჭოთა და სხვა დაწესებულება-ორგანოებს— შეუდგნენ მომჭირნეობის რეჟიმისათვის მებრძოლ ადგილობრივ კომისიების დაარსებას“...**

დრო გამოშვებით რაღაცას ბუდბუტებდა. იმდენად გართული იყო ფიქრებში, რომ ვერც კი შეამჩნია კოვზის მაგიერ როგორც მოურია ჩაის ჭიქას მელანში ჩაწებული კალამი და შემდეგ მოსვა კიდეც.

ქაღალდი და კალმი მოიმარჯვა და ზარი დარეკა.

დარეტიანებულივით შემოვარდნილ შიკრიკს უბრძანა:

— მთავბუხი...

— სეი მინუტ!..

შიკრიკმა კარი სწრაფად გაიხურა, მაგრამ დირექტორმა მაინც დაინახა რამოდენიმე წყვილი თვალი, რომლებიც მუდარით იცქირებოდენ მის კაბინეტში.—ეს დილა ადრიან მოსული მნახველები იყვენ, რომელთაც შრომის ნაყოფიერებასთან და წარმოების გაჯანსაღებასთან დაკავშირებული საკითხები ჰქონდათ გამოსარკვევი დირექტორთან ერთად.

ვიდრე მთავარი ბუჰლალტერი შემოვიდოდა, დირექტორმა თაბახ ქახალდზე დასწერა:

**„მომჭირკომის შტატი“**

კომისიის თავმჯდომარე 1,—(პასუხისმგ. ჯამაგ. დატვირთვ.)
„ თავმჯდომარის მოადგილე 1,—(მაქს. განაკვ.)
„ პასუხისმგებელი მდივანი 1,—(სამ. განაკვ.)
„ ტეხნიკური მდივანი 1,—ჯამაგ. 28 მან.)
„ მემანქანე 2,—(საერთო განაკვ. ჯამ.)
„ შიკრიკი 2,—(მათში ერთი სპეცშიკრიკი, ერთიც ჩვეულებრივი).

მათი ჯამაგირები . . . . . . . . . მან.—კაპ.
დატვირთვა . . . . . . . . . . მან.—კაპ.
ზედმეტი მუშაობის ჯილდო . . . . . . მან.
საკანცელარიო ხარჯები . . . . . . . მან.
გაუთვალისწინებელი ხარჯები . . . . . მან.
ავტომობილი კომისიის წევრებისათვის მისი შენახვა
შოფერის ჯამაგირი . . . . . . .
კომისიის წევრებისათვის კაბინეტის მოწყობა.
სხვადასხვა . . . . . . . . . . . . . . .
სულ . . .

მთავბუხი მოწიწებით შემოვიდა.

— რას მიბრძანებთ ამხ... დირექტორო!

— ხომ იცით, ეხლა მომჭრეჟის კამპანია მიდის და...

— როგრ თუ მომჭირეჟის?

— მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია, რომლის მიზანია საქმის ისე დაყენება, რომ ყოველი კაპეიკი დაზოგვით დაიხარჯოს და საერთო დოვლათის გადიდების საქმეს მოხმარდეს ამისათვის საჭიროა რეჟიმის გამტარებელ საგანგებო კომისიის შედგენა. მე დაახლოვებით ჩამოვწერე კომისიის შემადგენლობა, თქვენ ეს დაამუშავეთ, განაკვეთები შეუფარდეთ თანამდებობას, გაამრავლეთ, შეაერთეთ, გაჰყავით, დაანაწილეთ და გამოიყვანეთ საერთო ჯამი. სამუაშო საათებში, რასაკვირველია ვერ მოასწრებთ დანიშნეთ ზედმეტი სამუშაო საათები, მოიხმარიეთ ვინც საჭიროა და რამოდენიმე დღეში მოათავეთ ეს საქმე.

— მესმის...

მთავბუხმა გამოართვა ჩამოწერილი ქაღალდი და გავიდა.

დირექტორი კი გადაჰყვა ფიქრებს იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მოეწვია კომისიაში. კანდიდატები მალე გამოძებნა თავისიანებში, ტელეფონით შეელაპარაკა ზოგიერთებს,—და პორტფელის გახსნას აპირებდა, როცა ქარხნის საყვირმა დაიგუგუნა, რაც ნიშნავდა მუშაობის გათავებას.

დირექტორმა კურიერს უბრძანა გამოეცხადებია მნახველებისათვის, რომ ის სასწრაფო საქმეზე მუშაობს და არავის მიღება არ შეუძლია...

ცოტა ხნის შემდეგ მან ავტომობილით ჩაიქროლა იმ ქუჩაზე, სადაც ქარხნიდან გამოსული მუშები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდენ.

— ბენზინი ხომ ბლომად გაქვს, დიდხანს ვისეირნებ, დღეს ბევრი ვიმუშავე და თავი მტკივა.

— ბლომად გახლავთ, საით?

— მცხეთისკენ ზახარ ზახარიჩის დუქანში...

—:—

რამოდენიმე დღის შემდეგ მომჭირკომის შტატი უკვე შევსებული იყო. კომისიის თავმჯდომარედ თვით დირექტორი იქნა არჩეული. ყველას კაი ჯამაგირი დაენიშნა, გაჩაღდა კაბინეტებში სიარული, ასტყდა ტელეფონების რეკვა, საბეჭდ მანქანების წიკწიკი, ავტომობილებით აქეთ იქით სრიალი, გაუთავებელი სხდომები, ზედმეტი მუშაობა.

ყველაფერი ეს, მთავბუხის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით თვიურად მოითხოვდა სულ მცირე თანხას 4534 მანეთს და 14 კაპეიკს. ხოლო ერთდროული ხარჯების დასაფარავად საჭირო იყო 3732 მან. და 99 კაპ.

—:—

მომჭირკომმა თავის მეთერთმეტე სხდომაზე დაასრულა ერთი თავსატეხი საკითხის განხილვა: შტატების შემოკლება. შემოკლებულ იქნა: ორი შიკრიკი, ერთი რეგისტრატორი და ერთიც დამლაგებელი. გარდა ამისა, შემცირდა: საკანცელარიო ხარჯები—დამტარებელს ჩამოერთვა ტრამვაის აბონიმენტი, იატაკების წმენდა ნავთის მაგიერ დაიწყო წყალით, მუშებს მოესპო სპეცტანსაცმელი, საპონი და სხვა.

ერთის სიტყვით, მომჭირკომმა წარმოებას თვიურად თითქმის 320 მანეთამდე ეკონომია გაუკეთა...

ამრიგად ქარხანაში მომჭირნეობის რეჟიმი უკვე დამყარდა. ამის შესახებ დირექტორმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა მომჭირნ...... კომისიას. მოხსენების განხილვის შემდეგ კომისამ გამოიტანა ასეთი დადგენილება:

„ქარხანაში 50 პროცენტით შემცირდეს შტატები, რომელშიაც უნდა მოჰყვეს ახლად შედგენილი მომჭირკომი და დაარსდეს ნამდვილი მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისია. ამ საკითხთან დაკავშირებულ მუშაობისათვის დღევანდლამდე უკანონოდ გაწეული ხარჯები გადახდეს დირექტორს და მიცემულ იქნას ის პასუხისგებაში შტატების გაბერვისა და სახალხო ფულებისა და ქონების დაუზოგველობისათვის“.

ნადირექტორალის სახლში ეხლა ასეთი მდგომარეობაა: გათენდება თუ არა, მისი ცოლი ბაზრისაკენ მიეშურება სხვადასხვა ნივთების გასაყიდათ, რომ აღებულ გროშებით გამსახლში ქმარს სადილი შეუგზავნოს. სადილთან ერთად ქმარს უგზავნის ასეთ ბარათს: დაზოგვით სჭამე, ხომ იცი ეხლა მომჭირნეობის რეჟიმია.

**ფარსადან.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცნება

— ასე გამოცარიელებული რამდენხანს უნდა იყო კაცი!—სულ ნისიათ და ნისიათ... როდის იქნება, რომ მეც მექნება საშუალება ნაღდზე ვივაჭრო და ყველა ვაჭრების შიში არ მქონდეს!—ვფიქრობდი სამსახურიდან სახლში, რომ ვბრუნდებოდი. მანძილი დიდია ჩემ სახლამდი და ფიქრის დროც მქონდა გზაში.

— მოდი და ეხლა უეცრივ დიდი კაცი გავხდი,—სულ ადვილი საქმეზე ამირჩიეს... მაშინ ხომ უცბად გავმდიდრდი!?

მაგრამ, ამას სჯობია, აი მაგალითად: ეხლა ვიპოვნე აი აქვე ოცი ათასი მანეთი—(გამიქროლა მეორე აზრმა თავში და რომ ვისმეს ხელი არ შეეშველა, ტროტუარიდან შუა ქუჩაში გადავედი) —აქ სჯობია—არც გვერდს წაგკრავს ვინმე და არც ველოსიპეტს დაგატაკებს, როგორც ეს ტროტუარზე ხდება ხოლმე...

ჰო, ვიპოვე ოცი ათასი მანეთი, ეხლა სიფრთხილე მმართებს, რომ არვინ გაიგოს. ჩუმად უნდა ვხარჯო.

მივედი სახლში; ცოლს არაფერს ვეუბნები, მაგრამ მხიარულ გუნებაზე ვარ, ვალების აღარ მეშინია, ეხლა ყველაფერს გავასწორებ. სადილს ვწუნობ, ოთახის სივიწროვეს ვგრძნობ... მორთულობა, აბა ხომ არაფრად ვარგა... ცოლს ვათვალიერებ... ესეც შეიძლება გამოვცვალო, მაგრამ იყოს, რას მიშლის... მე სხვებთან ვიცხოვრებ, საყვარლებს გავიჩენ... ცოლი მეუბნება:

— ფეხსაცმელები არა მაქვს და მიყიდე.—

მე ვიცინი, ისე კი არაფერს ვეუბნები, ფულები ძველ ტომარაში მაქვს,—ქალო, ოთხი ოთახი აღმოაჩინე სადმე, კარგი რომ იყოს.

ცოლი მიჯავრდება: —საბინაო განყოფილება არ მოგვცემს.

— ხა-ხა-ხა-ხა... ქალო, ჩვენ ქირას მივცემთ, ნუ გეშინია.

— შენ რა მხიარულად ხარ დღეს?—უკვირს ცოლს.

— გავხსენი ჩემი ნაპოვნი—ფული, ამოვიღე ნაწილი, საჩქაროდ ეტლით ქალაქში წავედი. ყველაფერი ვიყიდე ჩემთვის და ცოლისთვის, ჩავაწყვე ეტლში და სახლში მივედი. ცოლი სიხარულით ფეხზე აღარ დგას... მეხვევა...

მეორე დღეს ახალ ბინაზე გადავედი. სამსახურში თუმცა გამოვცხადდი, მაგრამ სრულიად არაფერს ვაკეთებდი. გამგე რაღაცაზე გამიჯავრდა. მე უარესი ვუთხარი. გაგდებით დამემუქრა... გამაგდოს დიდათ მინდა მისი სამსახური. გული მომივიდა, პატაკი მივეცი, სამსახურს დავეთხოვე. რად მინდა სამსახური. ოთხი ოთახი დავიქირავე ინტერნაციონალის ქუჩაზე; როიალი ვიყიდე, ოთახები ევროპიულად მოვაწყე. ჩემი ცოლი ფქვილში ჩავარდნილ თაგვივით არის ამოსვრილი ლორიგანის პუდრებში, მოსამსახურე დავიქირავე შრომის ბირჟიდან... რაო? კავშირიდან გამორიცხვა უფიქრიათ? დიდათ სასიამოვნო. ინებეთ თქვენი წიგნაკი თავისი სტაჟით.

ხეირიანი ცოლის უყოლობა კი მიშლის ხელს. სულ ვერ შეეგუა ამ ცხოვრებას, მისალებ ოთახში საცვლები ჩამოკიდა გასაშრობათ. სწორედ მეჯლანუაშვილსავით მომდის, უნდა გამოცვალო ცოლი, მაგრამ დიდი ხნის ნამსახურია და ცოდვაა. ორ ცეცხლში ვარ. წარმოიდგინეთ „დიდ კაცსაც“ ჰქონია სადარდებელი. სრულიად არ ყოფილა დასაძრახი ის პატარა კაცები, რომლებიც როგორც კი „გადიდკაცდებიან“, ახალ ცოლს ირთავენ. მე კი ვამტყუნებდი. რა ქნან, ვერ იცხოვრეს იმ ცოლთან, რომელთანაც წინად ცხოვრობდა... მე მაინც ასე არ ვიზამ: არ გავუშვებ, ეგდოს, რას მიშლის! მომყავს ძვირფასი, ტანწერწეტა, წითელ ტუჩიანი ქალები, იმათთვის ცალკე ვქირაობ ოთახებს.

ათი ათასი მანეთი ბანკში შევიტანე, პროცენტები მყოფნის საცხოვრებლათ, გავასესხე ფულები. საკუთარი ავტო მყავს, სახლებიც შევიძინე. ამდენხანს თუ სხვისი ვალები მქონდა, დღეს ჩემი ვალი აქვთ... აი, ის მეხორცე (ერთხელ რომ კინაღამ მცემა ნისიას რატომ არ მაძლევო), ეხლა ჩემთან მოდის ფულის სასესხებლად... თუნდაც ის მეწვრიმალე, ერთხელ რომ ჩემს ქალს კაბა შემოახია,—ნისია მომეციო...—აი, ეხლა ჩემთან თულის სათხოვნელათ მოდის. მოგცემ... მოგცემ, მოგცემ თქვე საცოდავებო.

— როდის მომცემ? დრო გავიდა... დიდი ხანია,—მიყვირა ვილაცამ და ისე მაგრად მტაცა კლავში ხელი და გამიქნია, რომ ტელეგრაფის ბოძს არ დავტაკებოდი, წავიქცევოდი.

— ოი, დაგწყევლოს ღმერთმა—მოვისვი თვალებზე ხელი და აზრიანად გავიხედ-გამოვიხედე. ყველაფერი გამქრალიყო. მე იმდენი მევლო თავჩაღუნული ოცნებაში გართული, რომ პირდაპირ ჩემი მოვალე ვაჭრების დუქნამდე მივსულიყავი, რომლებისაკენაც ერთი წელიწადია არ გამივლია. დავენახე თუ არა, შემომეხვივნენ, საშინელ დღეში ჩამაგდებდენ, რომ საშველად იქვე მილიციონერი არ გაჩენილიყო.

სახლში რომ მივედი, ჩემი ცოლი ტარანს ხარშავდა.

პ. ოზოლი.



# „მესსიის ვირი“

პოემა—შარჟი

მიბაძვა (-თვით არ ვიცი, - ვისი)

არც მე ვიცი როგორ
გავიქარვო დარდი.
ვითამაშე ცოლთან
საღამომდი ნარდი,—

მაგრამ სევდა გულში
ისე მიზის, როგორც
ჟამსა სტუდენტობის
სიყვარული გოგოს.

გავუმჯავრდი ოთახს,—
მივატოვე ბინა.
ფიქრმა: „სად წავიდე“
თავში გამირბინა.

ვდგევარ, ველოდები
აქეთ მხარეს ვაგონს.
(ვიტრინაში თვალი
მე დავარჭვე ფლაკონს)

იქით მიდის ყველა
და არც ერთი აქეთ;—
(მოდით-და ტრამვაის
დიროქტორი აქეთ)

შევეკითხე ჩემს თავს:
—საით მიბრძანდებით?
თუ უცადეთ ვაგონს,—
თქვენ დაგვიანდებით.




დავდექ „პრიცეპკა“-ზე...
(უყვარს რობაქიძეს).

გვიბრძანეთ თუ ვაგონს
ელოდებით რომელს
და მოგართმევთ სწრაფად
თქვენს საჭირო ნომერს.—

წყრომით ვუპასუხე:
— არ არს შენი საქმე!
იქნებ გსურს: დილამდი
ვიდგე ჩემთვის აქ მე?!

მე დავიცდი ივნისს,
მე დავიცდი ივლისს,—
წავალ მით, რომელიც
უწინ გამოივლის.—

ვდგევარ გაჭიმული
როგორც კეისარი,
თითქოს გადავყლაპე
ლობის გრძელი სარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მეხუთე ნომერს
თვალი მოვკარ ამ დროს,—
მადლობა ღმერთს ცაში,
(და უფრო კი სანდროს).

გავიფიქრე: წავალ,
ვესტუმრები სიძეს;
დავდექ „პრიცეპკა“-ზე...
(უყვარს რობაქიძეს).

გავიარე წყნეთი...
გავიარე ვაკე;—
ვნახე ბლომად ვირი
აკუნი და მაკე.



ზამთარია,—ვზიდავთ
ნახშირსა და შეშას.

გავჩერდი და ერთს ვირს
დავაცქერდი დიდხანს.
სდგას საწყალი და ზურგს
რკინის ბოძზე იფხანს.

მწუხარე აქვს სახე,
სევდა უზის თვალში,—
(ალბად თვის პატრონმა
ის გაყიდა ვალში).

ორი ყური შვენის
ჭკუით სავსე დიდ თავს;
(ასეთ დიდ თავს, მიკვირს:
ტანი როგორ ზიდავს!)

(ვირს არ მოგცემ არვის,
თქვენ რომ მომცეთ რაში)
მე ჰამლეტად უცბად
გარდავიქენ მაშინ.

მე—თვით ვირის-თავი
დავსცქერ ვირის თავსა,
და ვკითხულობ მაზე
წარსულის კარგს-ავსა.

ო, ვინ იცის, იქნებ,
ამის მოტანილსა
ვსჭამდი მე ოდესმე
მაწონს და მწვანილსა.

იქნებ ის ზამთრობით
მიზიდავდა ნახშირს;
ზრუნვას არ მაკლებდა
მეგობრულსა და ხშირს...

მაგრამ ვხედავ ახლა
მხოლოდ მის თავს გამხმარს,
რომელსაც ის ახლა
ვერავის ვერ ახმარს.

რა ვქნა აღარ ვიცი,
მეკიდება ალი...
ო, მომეცით ჩქარა
ყანწით „წინანდალი“.

თქვენ არ იცნობ, ხალხო,
ჩემს საყვარელ ვირებს;—
ეს მაცოფებს მე და...
და მე ეს მაკვირვებს.

ყური უგდეთ,—ამბობს
თვის წარსულს და აწმყოს.
(ხედავთ როგორ ფიქრობს,—
აზრს აზრებზე აწყობს):

ერთხელ დიონისეს
ჰქონდა მტრებთან ომი.
მისი მტრები იყვენ
გიგანტები-ლომი.



მოვა ზაფხული და,—
ვზიდავთ ზურგით მაწონს

(ეს ამბავი იყო
ძველ დროს ელადაში).
მარტო ჩვენ ვიყავით
ღმერთ-სილენას რაში.

როგორც სანჩო-პანჩო
იგი გაჰყვა ღმერთსა...
და მოაჯდა ზურგზე
სილენა ვირს ერთსა.

დიონისე ხედავს
წამხდარა საქმე;
ამბობს: გიგანტებთან
რას გავხდები აქ მე?!

აქ სილენას ვირმა
იხე დაიყვირა,
რომ გაიქცენ მტრები,
ეცემოდენ ყირა.



რომ საათი დარეკს
თორმეტ საათს შუადღის,—

დიახ! ეს ქნა ჩვენმა
წინაპარმა ვირმა.
(ამ რეკლამამ ჩვენი
გაამდიდრა ფირმა).

ახლა არის და თქვენც
თვითონ ხედავთ კარგად,
რომ ქვეყანა მთელი
ზურგზე ჩვენ გვაქვს ბარგად.

ზამთარია,—ვზიდავთ
ნახშირსა და შეშას;
თოვს და ქარი დაჰქრის,—
ვინ გვიბრალებს ეშაკს.

მოვა ზაფხული და,—
ვზიდავთ ზურგით მაწონ.
(ვზიდავთ თუ ვერ ვზიდავთ
პატრონი არ ასწონს).

შევუდგებით აღმართს
(თუ გინდ იყოს ვერის),—
ჩვენ ამოგვდის სული,
პატრონი კი მღერის.



დელეგატად ვირჩევთ
რაჟდენს და მაცხოვარს...

რომ საათი დარეკს
თორმეტს საათს შუადღის,—
ჩვენ დავიწყებთ ყროყინს...
ეს, მითხარით, რა ღირს!?

ჩვენ ვატარეთ ქვეყნად
ქრისტე-მაცხოვარი...
არასოდეს მისთვის
არ გვითქვამსვარი...

მაგრამ მაინც არვინ
არ გვაფასებს ვირებს;
ეს გვაცოფებს ჩვენ და...
და ჩვენ ეს გვაკვირვებს.

მაგრამ ერთი კაცი
ქვეყნად ჩვენ გვაფასებს
და ლექსებს თხზავს ჩვენზე
ის უამრავს, ასებს.

ჩვენთაგანმა იგი
დაინახა თუ ზის,—
იმ წამს ოლიმპიდან
მომყვანია მუზის.

არ არსებობს ჩვენთვის
მუშაობის ნორმა.
(სამი ცხენის ტვირთი
უნდა ვზიდოთ ორმა).

არც „ახრანა ტრუდა“,
არც სხვა კომისია...
(ასე უნდა გვტანჯოს
ძალა რომ მისია?!)

დელეგატად ვირჩევთ
რაჟდენს და მაცხოვარს,
რომ უჩივლონ „სუდში“
ჩვენს პატრონთა ხროვას.

ისელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატარტაროზო

## ჩოხატაური

მოგახსენებ ტარტაროზო,
საქმეს შევხვდი გუშინ უცებს:
ჩვენს ცხრა წლედის შენობაში
მოეყარა თავი ხუცებს.
შემეშინა, შევკრთი კიდეც,
გულს ესტუმრა სევდა მწარი;
ვსთქვი: აქ იქნებ წესს უგებენ
და გამგეა სკოლის მკვდარი?!
მარა, როცა მივირბინე
და გავიგე საქმე მათი,—
მადლი გამჩენს! სულ სხვა ვნახე,
სხვა ამბავი, სხვა სურათი...
გამგე იდგა იქ უვნებლად,—
ხუცებს ჰქონდა, მხოლოდ კრება.
გამიკვირდა,—ძველ „არტისტებს“
ვინ უბოძა ამის ნება?!.
თავმჯდომარეთ აერჩიათ
ილარიონ „თმა-ხუჭუჭი“,
მღვდელი ფრიად დანაყუდი,
მარა ფრიად ჭკუით ფშუჭი!..
ლლავისებურ პირის ფჩენით
ორატორი, „თვალის ჩინი“,
(მგონი დეკანოზი არის,
არ ვიცი; თუ „ბლაყოჩინი“...)
ზევით ულვაშ ანაჩუჩქნი,
ქვევით წვერებ განაჩეჩი,—
პირით ჰყრიდა სიტყვებს „მაგარს“
ქვებს გახეთქდა მისი „რეჩი“!!.
მეგონა თუ ინგლისელთა
გაფიცვებზედ ჰქონდათ ბჭობა;
გაეგზავნათ მუშებისთვის
სალამი და თანაგრძნობა...
თუ ეს არა—მაშინ ვსთქვი, რომ
„ბოლნიცაზედ“ სტკივათ გული
და უნდათ, რომ თვით დაბეგვრით
შეაგროვონ მისთვის ფული:
რომ მათ ცოდვა მოინანონ
და გვიჩვენონ სასწაულები,
რათა სახლი დაამთავრონ
ხუთმეტი წლის ნაწვალები...
ანდა, იქნებ, ჩვენს ექიმზე
უნდათ მღერა „სულთათანის“.
სულ, რომ ფულზე წუწუნებს და,
აქვს ქარები თავის ფხანის!..
ანდა,იქნებ, უწუნებენ
„უჩიტლებს“ ზნე-ჩვეულებას,
რომ ეს ჯგუფი შეუპყრია
უკურნებელ სნეულებას!
არც სიტყვა სურთ, აღარც წერა,
არც კითხვა და არც პასუხი;
ყველაფერათ კმარა იგი,
თუ რომ ღვინოს უყვეს „ხუხი“!..
შემდეგ აბა, რა თქმა უნდა,
არშიყობა სრული ვნებით...
ბოლოს ჩხუბი შუა ბაზარში,
ერთმანეთის ცემა ქვებით!..
- მარა, არა, ამ „ღვთის კაცებს“,
არ აწუხებს ეს არც ერთი;
თურმე შიათ ამ ყორნებს, და
ეცოდებათ ერთმანეთი!..
დავიბეგროთ თვით თავიო,
დეკანოზმა უთხრა ხუცებს:
რომ უგზავნოთ კათოლიკოსს,
კვირეულად ცხვრის თავიო!..
მარა მღვდლებმა უპასუხეს
დღეს ეს აზრი ფუჭიაო,
რას დავეძებთ ჩვენ მის მუცელს,
როს თვით გვეწვის კუჭიაო?!.
აშას ეს სთქვა, იმან ის სთქვა,
ბოლოს კითხვას სტკიცეს უარი.—
და ამ კრების მეთაური
წაჩანჩალდა გულმომკვდარი!..
ასე იყო, ტარტაროზო,
ეს ამბავი და ეს კრება...
და სხვაც იყო... მარა შემდეგ...
ყველა ერთად, არ ითქმება!.. **წაველა.**

## „საქონელი“

### სადგური ბათუმი-საბარგო

კალეს უხმობენ სახელად,
არის საქონლის მოლარე;
ბარგ-ტვირთის გამომყიდველი
სულ რჩება მისი მოვალე.
საშა კი „შაშობს“ კალესთან,
**დიდ ვანოს** ფეხქვეშ ეგება,
რომ არ დააკლოს სულგრძელმა
რაც კი შრომისთვის ერგება.
იცის მან: ძმობის ტაძარი
**სიმწრითა ანაგებია;**
რაზომც დაიწვას ცეცხლითა
კვლავ ძნელი ასაგებია.

ასეა სამნი რაინდნი
ურთიერთის მოამაგენი...
ამჟამად ინგუშს ეძებენ
ბრაზითა განაშმაგენი.
ეცენ **„ტარტაროზს“**,—ჟურნალი
ნაკუწ-ნაკუწად აქციეს
(გრიშაც ჩაება ფერხულში)
და მიზანს ვერ მიახწიეს.

აჰა, შემოკრბით, დაჰკარით
ზურნა, დაფი და ნაღარა...
გახეთქოს „საფუთოებმა“
თქვენი ფიჟვა და მაგარა...
ჩვენმა ვანომ რომ სიმდიდრეს
გამოუნახა ხვრელია,—
ისიც კი გეტყვის, რომ ჰკითხოთ
აქ რომ **ჩხიკვაძე** მღვდელია.
რამ შეაშინა, და სხვებთან
ქონება რად გადამალა?!
ვერ გაუგებდა ეგონა
ტარტაროზისა ამალა?!

**ინგუში.**

## ლანირ-ჭაგანი

### (ყურმოკრული)

**სიკო:** სანთლით გეძებ ნიკო,
დაიკარგე სადა?

**ნიკო:** დამეთხოვე; არ მაქვს
ლაპარაკის მადა.

**სიკო:** ვინ გაბედა შენი
გაბრაზება ასე?

**ნიკო:** ამ ბაზარზე ვფიქრობ,
და ჯავრით ვარ სავსე.
კაცო! ბაღი იყო
საუცხოო ჯიშის!
რვა წლის იქნებოდა
ახლა ანგარიშით.
შემოვღობეთ, დავრგეთ
ჩვენ გლეხებმა მუქთად!
ხედავ, ახლა რას გავს?!—
აღმასკომს რა უთხრა.

**სიკო:** საწყენია დიდი
ასე მოვლა მისი!
მართლაც იყო ჩვენგან
ყურადღების ღირსი.
მაგრამ ხელმძღვანელი
არ აღმოჩნდა არსად,—
ერთი ალთას მიდის,
მეორე-კი ბალთას.

**ნიკო:** ამ ბაზრისა ბედიც,
ვერ წავწიეთ წინა!

**სიკო:** ასე არის, როცა
ჟანგი ახლავს რკინას,
როცა სიტყვას გული
აღარ მისდევს უკან!
დიდი ლაპარაკი
საქმეს აღარ უყვარს.

**ნიკო:** ამ დუქანით გვედგა
ეს მწუხარე სული!
თურმე ბევრი გვყავდა,
შიგ ყაჩაღი, თული.

**სიკო:** ვინაც ავირჩიეთ,—
ყველამ ჩაგვცა დანა!
ბრალი რომ მიგვიძღვის
არ გრძნობ, ნიკო, განა?!
სანამ მოხდებოდეს
არ ვართ ფხიზლად მანამ.

**ნიკო:** ამ ახალმა საბჭომ
იქნებ მოგვცეს რამე!

**სიკო:** ვნახოთ. ფიქრით ბევრჯერ
გავათენეთ ღამე,—
მაგრამ ჯერჯერობით
ვეღარ ვხედავთ ნიშანს!
ეს იმედი გვღუპავს,
თორემ რაღა გვიშავს...

**ჭაგნელი ბზიკი.**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# „ამერიკანელებთან“

(სცენა ჭიათურის ცხოვრებიდან)

**ბესო:** (შუბლზე ხელს მიიდებს როცა კოწიას დაინახავს). მამის, სული ნუ წამიწყდება, აგი კოწიე თუ არ იქნება,—თავს წევიჭრი!

**კოწია:** (გაკვირვებით (ოჰხ, ბესო, ბესო.) ხელს ართმევენ და გადაკოცნიან ერთმანეთს) სადა ხარ ბოშო ამდენ ხანს? ასთე უნდა ძველი მეგობრების დავიწყება?!

**ბესო:** აბა, ჩემო კოწიავ, აგერ დაგვანგვალებული თერთმეტი წელიწადი იქნება, რაც ჭიათურაში არ ვყოფილვარ... ახლა ბალანაი გამომეზარდა და ვიფიქრე ჭიათურაში ჩავალ იგი რაცხაი ამერიკაია თუ ხარიბედია იმასთან დავაყენებ მეთქი; ზაგრანიციდგან უნდა მოვიდეს კანკრაზ ამ ცოტა ხანში.

**კოწია:** (თავისთვის) ამ გურულებმა შეგვჭამა: საცხა ადგილი გაჩნდება ყველა მაგინს უნდა (ბესოს) იმე ბოშო, იმხელა შვილი გყავს?

**ბესო:** აბა, აბა, ჩემო კოწიავ, მერმე რომ იცოდე რავაი ბალანაი არის, ავთვალს არ ენახება, მარა ბალშევიკებმა გადამისახლეს და ვითამ დამიღუპეს,—პირდაპირ გერმანიაში აკრიეს თავი... იქინე დიესია გერმანიის მთავრობა, ჟორდანია და პირდაპირ უმაღლესში კაზიონი „სჩოტზე“ აკვრიეს თავი.. ახლა გაათავა და მწერდა, რომ,—ბაბავ ჩამოსვლა მინდა სახლშიო... მეც ევილე და მივწერე, რომ შენ დალოცვილო, შენისთანა ბიჭებმა კი არა, უარესებმა მონახეს პლატფორმა; მონახე შენც და დადექი მეთქი... მანაც დასურ ორ კვირაში მომწერა, რომ ვეშაპელის პლატფორმაზე დავდექიო და ახლა სახლში ჩამოსვლის ნება მაქვსო (კოწია სდგას და ხელში კრიალოსანს ათამაშებს. ბესო თვალით ანიშნებს) ისე ჩემი მტერისას, იმის მეტი იგი ბალშენიკი არ იყოს, მარა რას იზამ?!

**კოწია:** არ მოგიკვდეს ჩემი თავი,—არაფერი გამოდგეს მაგათთან ჩემო ბესო... მაგინი სულყველაფერს ანგლიჩნურათ აწარმოებენ და აბა ჩვენი ბლარები რას გახდებიან მაგათთან!?

**ბესო:** რავა კაცო! ამერიკა ინგლიჩნურათ სწერს და ლაპარაკობს?!

**კოწია:** ხო, აბა! მაგინი ყოფილან აქანაი ანგლიჩნები რომ იყვენ მენშევიკების დროს, იმათი შტოი,—რავარც ჩვენ და მეგრელები ვართ და სუკარი ენა არა აქვთ.

**ბესო:** უყურე! იგინის განაყოფი ყოფილან!

**კოწია:** ჰო, ჰო მიაგენი სწორედ, მეც მყავდა, ჩემო ბესო, შვილი ლემეცურის მცოდნე, მარა ვერ დავაყენე მაგათთან; რაღაც კანტორჩიკის პოპოშნიკათ ძლივა მოვახერხე, ისიც დიდი ვაი-ვაგლახით.

**ბესო.** აბა, ჩემო ძამიავ, თქვენ თუ ვეფერი გააკეთე ყურის ძირში, მე გადამთიელი რას გავხდები საცხა ამერიკიდან მოსულ ხალხთან. (პაუზა). „პოვეზი“ როის ბრუნდება?

**კოწია:** ორ საათის შემდეგ.

**ბესო:** (ხელს ართმევს) ბაზარს მაინც ვნახავ და მერე გაუყობი სახლისაკენ.

**კოწია:** (მიმავალ ბესოს თვალს გააყოლებს და იცინის) ერთი გურული ხომ მოვაშორე ჭიათურას!! **ჭიათურელი ბზიკი**

# მესტვირული

ჩვეულება მაქვს ოხერი:
მანამ არ დამეძინება,—
თუ ვინმე რამეს ცუდს შვრება
მიყვარს იმისი მხილება.
ყორყი დამიწყებს ქავილსა,
უხვდება აღიღინება...
ავილე სტვირი სამღერათ,
თუმცა გულს არც კი ელხინება.
საქმე თქვენთან მაქს სოფლელნო
არ მოგივიდეთ გულია;
**„მოყვარეს პირში უძრახავ“**
ჭკუიანისაგან თქმულია.
დასტირით.—ფული არ გვაქვსო,
გვიჭირს ცოლშვილის კვებაო;
გვიჭირვებს საქმეს სიშიშვლე,
უსაბან-ლებოთ გდებაო;
არა გვაქვს ხინის ფასიო,—
მკვდრებს კი უზიდავთ სანთლებსა;
ზოგმა ქელეხებს უმატეთ,
ზოგი დაათრევთ ბევრ-მღვდლებსა
ხატობას სამასპინძლოთა
ცოლს კაბას გახდით ტანზედა;
დღესასწაულზე, ქორწილზე
ტიკებს აგორებთ კარზედა.
ერთი წლის სარჩოს ერთად სჭამთ,
ღვინო მოგდივათ ყელშია;
ხან ერთმანეთსა დანით ჰკლავთ,
აგზავნით სამარეშია.
ალლო ავართვათ ცხოვრებას,
მივხდეთ: დრო გამოცვლილია.
გუშინ საქები გმირობა
დღეს ძრახი და სირცხვილია.
„სმა-ჭამა კარგად შესარგი
(შოთამ სთქვა) სავარგულია“,—
მაგრამ ზედმეტი მხარჯველის
ოჯახიც დაკარგულია.

**შხანკიალა.**




**ყინჩიყოს** (ს. ჭალა) შარადაზე გვწერთ, რომ:

**თუ მიხვდე—გულში დამალე**
**და არ სთქვა იგი არსადა.**

ვასრულებთ თქვენს თხოვნას,—და რათა იგი უფრო საიმედო და საიდუმლო ადგილს იყოს დამალული (ვიდრე გულში), ამიტომ მას ვათავსებთ უფსკერო გოდორში.

**...და იმ სიტყვისა გვჭირია**
**ჩვენ ერთი ასო—წინაი.**
**დანაშთი ერთი გადვაგდოთ**
**და მივაძახოთ: „წინ წაი“.**

დანაშთი კი არა,—მთელი თქვენი წერილი გადავაგდეთ და მივაძახეთ: გოდორში წადი; მან კი სიტყვის შეუბრუნებლად შეასრულა ჩვენი ბრძანება და წავიდა იქ, სადაც მიდიან, მაგრამ საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

**„ფიცი მრწამს, ბოლო მაკვირვებს“**-ს (გურჯაანი) რა გასაკვირია თუ: **„ბაბალე სასამართლოში არშიყობს“**!? აბა რა ჰქნას, როცა: **„მდივანი და სხვები ეარშიყებიან“**!? ნუ გრწამთ ბაბალეს ფიცი და—არც ბოლო გაგიკვირდებათ, რითაც გამოხვალთ უხერხულ მდგომარეობიდან, რომელსაც ჰქმნის ფიცის რწმენა და გაკვირვება ბოლოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადგილკომის კრება

წარა-მარა სხდომებმა და კრებებმა მუშა-მოსამსახურეებს შეაძულეს კრებაზე დასწრება.

(სინამდვილიდან).

ბევრჯერ ჰქონდა დანიშნული მას საერთო კრება,—
მაგრამ დღესაც ჩვენს ადგილკომს არვინ ეკარება.

ხელმოწერამც ველარ გასჭრა, მაინც არვინ მოდის.
(ნეტა მოსვლას ამ კრებაზე ისურვებენ როდის?!)




ერთი ადგილკომი (მეორეს): ერთი კი მოჰყვა ჩემს ბადეში,—და მგონი შესდგეს საერთო კრება.
მეორე—(პირველს): ჩქარა მოსწი შენსკენ, თორემ თუ ძალა მოიკრიფა, ჩემსავით დაგემართება: ბადის თოკს გაგიწყვეტს და თავს უშველის.

---

**ქარიოცელს** (შორაპანი) იხ. „ტარტაროზი" № 47, გვერდი 13. ამ ამბავზე უკვე გვქონდა წერილი.

**ალანელს.** ეს არის მომჭირნეობის რეჟიმი? ნუ თუ არ წაგიკითხავთ ტარტაროზის ბრძანება, სადაც სწერია:

ეკონომიის რეჟიმი უნდა
თქვენც გაატაროთ, დაიცვათ კარგად,
და ნუ დახარჯავთ ქაღალდს და მელანს
როცა მასალა არაფრადვარგა.

შე დალოცვილო, თუ თავისი თავი არ გებრალებოდა ასეთ გრძელი წერილის დაწერით, ჩვენ მაინც შეგბრალებოდით; ნუ თუ არ იცოდით, რომ ყველა მასალა იკითხება თავიდან ბოლომდე ტარტაროზის მიერ?! (დაიცავით წერაშიც მომჭირნეობა).

**ს. ო. ხ.-ს** (ჩოხატაური) ჩვენ უკვე გამოგონებული გვაქვს ასეთი წერილებისათვის მჴრჩოლავი გაზი.

**მეგობარს „აფთიაქების ზოგიერთ მმართველების საყურადღებოდ"** თქვენ გვწერთ, რომ:

საათი რომ თორმეტს დარეკს
რესტორანს ესტუმრებიან
ნუნუას ბლომად გადაჰკრენ
და ზორბად შეხურდებიან
ამ დროს მოდი, ტარტაროზო,
მსურს რომ შენი თვალით ნახო
და წამალი უებარი
შენ მაგათთვის გამონახო.

წამლების ჩვენ არაფერი არ გაგვეგება; ფარმაცევტი კაცი ხარ და, კარგი იქნებოდა, რომ თვითონ თქვენ გამოგენახათ შესაფერი წამალი.

—:—

**მეთვალყურეს** (სუფსა) აბა რამდენი გინდათ!?

ბიჭი ეყოლა ერთია;
არავინ იცის ვისია,—
მოწამე არის ღმერთია.

სტყუი. როდის იყო, რომ ღმერთი—ეს მოხუცებული კაცი მაგნაირ საქმეებს უყურებდა.

ესეც რომ არ იყოს,—თუ კი ღმერთი ციდან ჩამოვიდა და აყურადღებდა,—შენ რას შვრებოდი ამ დროს? მაშ რისი მაქნისი „მეთვალყურე" ხარ?.. ნადიას სახალხო სასამართლოში მოწამედ მაინც გამოადგებოდით; (იქ ხომ მოწამედ ღმერთს არ ღებულობენ).

**ალის** (ოზურგეთი) თქვენ გვწერთ, რომ:

„ციხის დაღმართის კუთხეში ფეხსაცმელის მწმენდავი—„ბუგა" ძალით ავალებს მოქალაქეებს ფეხსაცმელების გაწმედას".

თუ კი მასე იქცევა „ბუგა", ძალიან კარგსაც შვრება. მასე რომ იქცეოდეს ოზურგეთის სანიტარული კომისია, მაშინ თქვენი ქალაქი სუფთა იქნებოდა. ჩვენც „ბუგა"-სავით გავსწმინდეთ თქვენი წერილი და განწმენდილი ცოდვებისგან ოზურგეთისა სუფთა ადგილს (ე. ი. ჩვენს გოდორში) მოვათავსეთ... **სათაური თვითონ თქვენ მოუნახეთ ემ ჩემს წერილსო;** არა უშავს რა.—უსათაუროდაც ღებულობენ უფსკერო გოდორში, სადაც არხეინად წარბძანდა და მოთავსდა იგი. საგოდრო წერილი უსათაუროდაც მიიღება. (არ გეწყინოს, მართლა... გეხუმრეთ, თუმცაღა ჩვენი ხუმრობა საჯევახოური ხუმრობაა).

**კვანტის** (დიდი-ჯიხაიში) მართალი ხართ თქვენ, როცა თქვენს **„მეცნიერება და ტეხნიკა"**-ში მასწავლებლებს დასცინით. მართლაც ვერ ყოფილან კარგი მასწავლებლები, თორემ „შენისანები" ვერც სტუდენტებად იქნებოდენ. (აფსუს, უნივერსიტეტო).

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.